# სასკოლო სპორტული ოლიმპიადა

**საქართველოს პირველი სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფინალური შეხვედრების შედეგები:**

- **მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟები) ფინალურ** შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ **ქ. თბილისის 90–ე** საჯარო სკოლის მოსწავლე **ლევან პავლიაშვილი** და **ქ. ბათუმის მე–13** საჯარო სკოლის მოსწავლე **ბაჩანა ფასანიძე.**

  საერთო ანგარიშით 2:0 გამარჯვება მოიპოვა **ქ. თბილისის 90–ე** საჯარო სკლის მოსწავლემ **ლევან პავლიაშვილიმა** და მოიპოვა **2016 წელს ისრაელში ISF–ის** ეგიდით (საერთშორისო სასკოლო სპორტის ფედერაცია) გასამართ **მსოფლიო ჩემპიონატზე** სკოლებს შორის მონაწილეობის უფლება.

- **მძლეოსნური-ამანათრბენი ფინალური გარბენის შედეგები:**

  **III-ადგილი** – დაიკავა **ქ.ახალციხის I-ი** საჯარო სკოლის გუნდმა, შედეგით – **56.4 წმ.**

  **II-ადგილი** – დაიკავა **ქ. ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხის** საჯარო სკოლის გუნდმა, შედეგით – **54,54 წმ.**

  **I-ადგილი** – დაიკავა **ქ. თბილისის 120–ე** საჯარო სკოლის გუნდმა – შედეგით – **52,95 წმ.** და მოიპოვა **2016 წელს უნგრეთში ISF–ის** ეგიდით (საერთშორისო სასკოლო სპორტის ფედერაცია) გასამართ **მსოფლიო ჩემპიონატზე** სკოლებს შორის მონაწილეობის უფლება.

- **მინი-ფეხბურთი ფინალურ შეხვედრაში** ერთმანეთს დაუპირისპირდნენ **ქ. თბილისის 149–ე** საჯარო სკოლისა და **ქ. ზუგდიდის მე–6** საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდები.

  დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით **1:0** გაიმარჯვა **ქ. თბილისის 149–ე** საჯარო სკოლამ და მოიპოვა **2016 წელს ხორვატიაში ISF–ის** ეგიდით (საერთშორისო სასკოლო სპორტის ფედერაცია) გასამართ **მსოფლიო ჩემპიონატზე** სკოლებს შორის მონაწილეობის უფლება.

- **კალათბურთი 3x3-ზე (გოგონები) – ფინალური შეხვედრაში** ერთმანეთს დაუპირისპირდნენ **ქ. ზუგდიდის მე–6 საჯარო** სკოლისა და **ქ. გორის მე–3** საჯარო სკოლის გუნდები.

  ანგარიშით **8:4** გამარჯვება მოიპოვა **ქ. ზუგდიდის მე–6** საჯარო სკოლამ და მოიპოვა **2016 წელს ესტონეთში ISF–ის** ეგიდით (საერთშორისო სასკოლო სპორტის ფედერაცია) გასამართ **მსოფლიო ჩემპიონატზე** სკოლებს შორის მონაწილეობის უფლება.

- **კალათბურთი 3x3-ზე (ვაჟები) – ფინალური თამაშში** ერთმანეთ შეხვდნენ **ქ. ქუთაისის მე–3** საჯარო სკოლისა და **ქ. თბილისი 47–ე** საჯარო სკოლის გუნდები.

  დაძაბულ პაექრობაში ანგარიშით **9:6** გამარჯვება მოიპოვა **ქ. ქუთაისის მე–3** საჯარო სკოლამ და მოიპოვა **2016 წელს ესტონეთში ISF–ის** ეგიდით (საერთშორისო სასკოლო სპორტის ფედერაცია) გასამართ **მსოფლიო ჩემპიონატზე** სკოლებს შორის მონაწილეობის უფლება.

- **მაგიდის ჩოგბურთი (გოგონები) ფინალურ** შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ **ვ.კომაროვის სახ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199–ე** საჯარო სკოლის მოსწავლე **ანი ფიროსმანაშვილი** და **ქ. ქუთაისის მე–9** საჯარო სკოლის მოსწავლე **მარიამ ღვინეფაძე.**

  **ანგარიშით 2:0** გაიმარჯვა ვ. კომაროვის სახ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199–ე საჯარო სკოლის მოსწავლემ **– ანი ფიროსმანაშვილმა** და მოიპოვა **2016 წელს ისრაელში ISF–ის** ეგიდით (საერთშორისო სასკოლო სპორტის ფედერაცია) გასამართ **მსოფლიო ჩემპიონატზე** სკოლებს შორის მონაწილეობის უფლება.

ოლიმპიადის ფარგლებში ასევე ჩატარდა ,,ოლიმპიადის ვარსკვლავების“ ტურნირი 3x3-ზე კალათბურთში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სიმბოლურ ნაკრებებს შორის.